# ქართული კალათბურთი

# დებულება

## A ლიგა • B ლიგა • C ლიგა

jr.nba • GBF

სეზონი 2022-2023

GBF.GE

# თავი I - ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. ჩემპიონატის ჩატარების წესები**
-"ენ-ბი-ეი ჯუნიორი საქართველო"- JR.NBA GEORGIA ტარდება 2011-2012-2013 წლებში დაბადებულ ვაჟთა და გოგონათა შორის, „კალათბურთის ოფიციალური წესებისა" და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
- ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდი ვალდებულია გაეცნოს და შეასრულოს „კალათბურთის ოფიციალური წესებისა" და წინამდებარე დებულების მოთხოვნები, ასევე დებულების დანართი: (დანართი #1).

**მუხლი 2. ჩემპიონატის ორგანიზებისა და ჩატარების ხელმძღვანელობა**
-ჩემპიონატის ჩატარებას ხელმძღვანელობს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია (შემდგომში "ს.კ.ე.ფ."), ფედერაციის საერთაშორისო ღონისძიებებისა და კალათბურთის განვითარების განყოფილების ორგანიზებითა და ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციასთან (NBA) კოორდინირებით.
-ჩემპიონატი ტარდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით.

# თავი II - ჩემპიონატის ჩატარების მიზნები მუხლი

**მუხლი 3. ჩემპიონატის ჩატარების მიზნები და ამოცანები**
ჩემპიონატის ჩატარება მიზნად ისახავს:
- საქართველოს მასშტაბით ბავშვთა შორის კალათბურთის პოპულარიზაცია-განვითარებას;
- ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას;
- საქართველოს მასშტაბით კალათბურთის მასობრივ განვითარებას და ხელმისაწვდომობას.

# თავი III - ჩემპიონატებში გუნდების დაშვების წესი

**მუხლი 4. დაშვების პირობები**
4.1. გუნდები ჩემპიონატში (A-ლიგა B-ლიგა და C-ლიგა) დაიშვებიან ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, წინამდებარე დებულების მოთხოვნების შესრულების პირობით და საკვალიფიკაციო ტურნირების (გუნდების რაოდენობიდან გამომდინარე დანართი 2-ის მიხედვით) მეშვეობით;
4.2. ჩემპიონატში/ტურნირში მონაწილეობის მისაღებად თითოეული გუნდი ვალდებულია 2023 წლის 7 აპრილამდე დაადასტუროს ჩემპიონატში/ტურნირში მონაწილეობა;
4.3. A, B, C ლიგის მონაწილე გუნდი ვალდებულია12 მაისამდე წარმოადგინოს 15 (თხუთმეტი) კაციანი განაცხადი დადგენილი ფორმით, რის შემდეგაც გუნდს არ აქვს განაცხადში ცვლილებების შეტანის უფლება;
4.4. ჩემპიონატში/ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ 2011-2012-2013 წლებში დაბადებული კალათბურთელები;
4.5. 15 (თხუთმეტი) კაციან განაცხადში ვაჟთა და გოგონათა კვოტირება არ არის შეზღუდული (გარდა ამ მუხლის 4.6 პუნქტში მითითებული მოთხოვნისა);
4.6. შერეული გუნდის შემთხვევაში, ვაჟებთან ერთად, თითოულ გუნდს 15 (თხუთმეტი) კაციან განაცხადში შეუძლია ჰყავდეს 2010 წელს დაბადებული გოგონები; ამასთანავე, შესაძლებელია, რომ ლიგაში მონაწილეობა მიიღოს სრულად გოგონებით დაკომპლექტებულმა გუნდმა.
4.7. გუნდი თითოეულ თამაშზე უნდა წარსდგეს არა ნაკლებ 12 მოთამაშისა. ამ პუნქტის დარღვევისათვის ჯარიმის ოდენობაა 20 ლარი, 12-ზე ნაკლებ თითოეულ მოთამაშეზე;
4.8. გუნდი ვალდებულია წარმოადგინოს გუნდის განაცხადში შეყვანილი მოთამაშის დაბადების მოწმობის ასლი;
4.9. გუნდს თამაშზე აუცილებლად უნდა ჰქონდეს სათამაშო #5 –ზომის ორი ბურთი.

# თავი IV - მოთხოვნები ჩემპიონატის / ტურნირის მონაწილეთა მიმართ

**მუხლი 5. მოთამაშეები**
5.1. ჩემპიონატში/ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ გუნდის განაცხადში შეყვანილ მოთამაშეებს;
5.2. მოთამაშეთა მაისურებზე უნდა ეწეროს ნომრები 00-0-დან 99-მდე;
5.3. მოთამაშის მაისურის ნომერი ჩემპიონატისა და ტურნირის ბოლომდე არ იცვლება.
5.4. გუნდს უნდა ჰქონდეს გუნდური, ასევე თითოეული მოთამაშისა და მწვრთნელის ინდივიდუალური ფოტოების ციფრული ვარიანტი.

**მუხლი 6. მწვრთნელები, გუნდის თანმხლები პირები**
6.1. თამაშის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 წუთისა, მწვრთნელმა უნდა წარუდგინოს ორგანიზატორებს გუნდის განაცხადი.
6.2. გუნდის სკამის ზონაში ყოფნის უფლება აქვთ მხოლოდ გუნდის განაცხადში მყოფ მწვრთნელს, მწვრთნელის თანაშემწეს და ექიმს.

**მუხლი 7. მსაჯები და მსაჯ-მდივნები**
7.1. ჩემპიონატის და ტურნირის მატჩებზე შეიძლება დაინიშნონ მხოლოდ მსაჯთა და მსაჯ მდივანთა განყოფილების მიერ დაშვებული მსაჯები და მსაჯ-მდივნები.

# თავი V - ჩემპიონატის / ტურნირის ჩატარების დრო და სისტემა

**მუხლი 8. ჩემპიონატის/ტურნირის ჩატარების დრო**
8.1. საკვალიფიკაციო ეტაპების/ტურნირის (საჭიროების შემთხვევაში) ჩატარების სისტემა განისაზღვრება კონკრეტული რეგიონისა და გუნდების რაოდენობიდან გამომდინარე და დასრულდება არაუგვიანეს 8 მაისისა(იხ-დანართი2).
8.2. „ჯუნიორ ენ-ბი-ეი საქართველო "- A, B და C ლიგები, დაიწყება 2023 წლის 10 მაისს და დასრულდება ამავე წლის 15 ივლისს თანახმად "ს.კ.ე.ფ."-ს მიერ დამტკიცებული კალენდრისა.
8.3. თამაშები ჩატარდება ქალაქ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ხაშურის, თელავისა და რუსთავის სპორტდარბაზებში, რომლებიც შერჩეული იქნება ს.კ.ე.ფ.-ის გადაწყვეტილებით.
8.4. თუ დაშვებული გუნდებიდან რომელიმე განაცხადებს უარს მონაწილეობაზე, ის აღარ დაიშვება მომავალი წლის ჩემპიონატზე.
**8.5. მონაწილე გუნდები (A, B, C ლიგა , თითო ლიგაში 30 გუნდი, სულ 90 გუნდი):**
**- კენჭისყრის შედეგად გუნდები გადანაწილდებიან 6 დივიზიონში/ჯგუფებში.**

**8.6. შეჯიბრება ჩატარდება ორ ეტაპად.**

**პირველი ეტაპი:**
- დივიზიონებში/ქვეჯგუფებში გუნდები ითამაშებენ ორ (2) წრედ.

**მეორე ეტაპი:**
**-პლეიოფი, კონფერენციის მეოთხედფინალი:**

**-აღმოსავლეთ კონფერენციაში,** დივიზიონებში/ქვეჯგუფებში **(ატლანტიკის, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონებიდან - სულ 3 დივიზიონი)** პირველ (1) და მეორე (2) ადგილზე გასული გუნდები (სულ 6 გუნდი) და ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგებით საუკეთესო ორი (2) მესამე ადგილოსანი გუნდი ითამაშებენ პლეიოფში, კონფერენციის მეოთხედფინალში, სულ **რვა (8)-გუნდი.**

**-დასავლეთ კონფერენციაში,** დივიზიონებში/ქვეჯგუფებში **(ჩრდილო-დასავლეთი, პაციფიკის და სამხრეთ-დასავლეთის დივიზიონებიდან- სულ 3 დივიზიონი)** პირველ (1) და მეორე (2) ადგილზე გასული გუნდები (სულ 6 გუნდი) და ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგებით საუკეთესო ორი (2) მესამე ადგილოსანი გუნდი ითამაშებენ პლეიოფში, კონფერენციის მეოთხედფინალში, სულ **რვა (8)-გუნდი.**

- თითოეული კონფერენციის 8 გუნდს ნაჩვენები შედეგების კლასიფიკაციის მიხედვით მიენიჭება ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 შესაბამისი შედეგების მიხედვით.
- მეოთხედფინალურ შეხვედრებში გამარჯვებული გუნდები გამოვლინდება ერთ მატჩში.

**წყვილი 1: 1 - 8**
**წყვილი 2: 2 - 7**
**წყვილი 3: 3 - 6**
**წყვილი 4: 4 - 5**

***შენიშვნა:*** *ეით ქვეჯგუფში მყოფი გუნდები პლეიოფის მეოთხედფინალში ეითმანეთს ვეი დაუპიისპიიდებიან. აღნიშნულის შემთხვევაში მოხდება წყვილთა ცვლილება კლასიფიკაციის მიხედვით.*

**პლეიოფი, კონფერენციის ნახევარფინალი**
- კონფერენციის (აღმოსავლეთი და დასავლეთი)მეოთხედფინალში გამარჯვებული გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს კონფერენციების ნახევარფინალში და გაარკვევენ კონფერენციების ფინალისტების ვინაობას.
- ნახევარფინალურ შეხვედრებში გამარჯვებული გუნდები გამოვლინდება ერთ მატჩში.
**- ნახევარფინალში გამარჯვებული გუნდები დაწყვილდებიან შემდეგნაირად:**

**წყვილი 1 გამარჯვებული vs წყვილი 4 გამარჯვებული**
**წყვილი 2 გამარჯვებული vs წყვილი 3 გამარჯვებული**

**აღმოსავლეთი და დასავლეთ კონფერენციების ფინალი:**
**- აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციის ფინალში** დამარცხებული გუნდები ითამაშებენ **„ჯუნიორ ენ-ბი - ეი საქართველო "- A, B და C ლიგების მესამე (3) და მეოთხე (4) ადგილებისთვის.**

**- აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში** გამარჯვებული გუნდი გადავა **„ჯუნიორ ენ-ბი - ეი საქართველო "- A, B და C ლიგების ფინალში.**

**- დასავლეთ კონფერენციის ფინალში** გამარჯვებული გუნდი გადავა **„ჯუნიორ ენ-ბი - ეი საქართველო "- A, B და C ლიგების ფინალში.**

-ფინალური სერიის ყველა შეხვედრაში გამარჯვებული გუნდები გამოვლინდებიან ერთ მატჩში.

# თავი VI - დისციპლინური სანქციები ჩემპიონატის/ტურნირის მსვლელობისას

**მუხლი 9. დისციპლინური დარღვევები და სასჯელები**

გუნდის ოფიციალურ პირებს – მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მწვრთნელთა თანაშემწეებს, თანმხლებ პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქცევის წესების დაცვაზე თამაშამდე, თამაშის მსვლელობისას და თამაშის დამთავრების შემდეგ.

წესების დარღვევისას შესაძლოა გამოტანილ იქნას შემდეგი სანქციები:

9.1. სიტყვიერი შეურაცხყოფა მოთამაშის მხრიდან:

9.1.1. მსაჯების, კომისრის, მსაჯების მაგიდასთან, მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, სიტყვით ან ჟესტით – დისკვალიფიკაცია ორი თამაშით.

9.1.2. ჩემპიონატის/ ტურნირის განმავლობაში განმეორებითი დარღვევისათვის – დისკვალიფიკაცია ოთხი თამაშით.

9.1.3. ჩემპიონატის/ ტურნირის  განმავლობაში მესამე დარღვევისათვის – დისკვალიფიკაცია ჩემპიონატის/ტურნირის ბოლომდე.

9.1.4. თუ ზემოაღნიშნულ მუხლებში მოყვანილი გადაცდომები ჩადენილი იქნება მწვრთნელის, მწვრთნელის თანაშემწის ან გუნდის სხვა ოფიციალური პირის მიერ, იგი დისკვალიფიცირებული იქნება ორი თამაშით, განმეორების შემთხვევაში – ოთხი თამაშით, მესამე დარღვევისათვის - დისკვალიფიკაცია ჩემპიონატის/ტურნირის ბოლომდე.

9.2. ფიზიკური შეურაცხყოფა:

9.2.1. მსაჯების, კომისრის, მაგიდასთან მსაჯების მიმართ – დისკვალიფიკაცია – ხუთი ან მეტი თამაშით.

9.2.2.მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ – დისკვალიფიკაცია – სამი თამაშით.

9.2.3. განმეორების შემთხვევაში სასჯელი ორმაგდება.

9.2.4. თუ ზემოაღნიშნულ მუხლებში მითითებული დარღვევები ჩადენილი იქნება მწვრთნელის ან გუნდის სხვა ოფიციალური პირის მიერ, აღნიშნული შემთხვევები განიხილება ცალკეულად სადისციპლინო-ტექნიკური კომისიის მიერ და მიღებული იქნება შესაბამისი სანქციები და ფულადი ჯარიმები.

9.3. თუკი გუნდი არ გამოცხადდება თამაშზე ან უარს იტყვის ტურნირში/ჩემპიონატში შემდგომ მონაწილეობაზე, პირველ შემთხვევაში გუნდს ჩაეთვლება წაგება ,,თამაშის უფლების ჩამორთმევით" და დაჯარიმდება 200 (ორასი) ლარით. განმეორებით შემთხვევაში გუნდი იხსნება ტურნირი/ჩემპიონატიდან, არ დაიშვება მომავალი წლის ჩემპიონატზე და დაეკისრება ჯარიმა 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

9.4. თამაშში ულიცენზიო მოთამაშის მონაწილეობისათვის გუნდს ჩაეთვლება წაგება ,,თამაშის უფლების ჩამორთმევით" ანგარიშით 0:20 და დაეწერება 0 ქულა.

9.5. თუ მოედნიდან ან სათადარიგო სკამიდან გაძევებული მოთამაშე, მწვრთნელი ან სხვა ოფიციალური პირი მსაჯის მოთხოვნიდან 2 წუთის განმავლობაში არ დატოვებს მოედანს ან გუნდის სკამის ზონას, თამაში შეწყდება, გუნდს ჩაეთვლება წაგება ,,თამაშის უფლების ჩამორთმევით" ანგარიშით 0:20 და დაეწერება 0 ქულა.

9.6. თუ გუნდის შემადგენლობაში 12-ზე ნაკლები მოთამაშეა ის ჯარიმდება 20 (ოცი) ლარით თითოეულ დაკლებულ მოთამაშეზე.

9.7. თუკი ჩემპიონატის/ტურნირის მსვლელობისას გამოვლინდა ასაკობრივი დარღვევის ფაქტი, მოთამაშე დისკვალიფიცირებული იქნება ერთი წლით, გუნდს ჩაეთვლება წაგება იმ თამაშებში, რომლებშიც მიიღო მონაწილეობა ამ მოთამაშემ, ხოლო მწვრთნელს ორი წლით აეკრძალება გუნდის ხელმძღვანელობა ს.კ.ე.ფ-ის ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში და დაჯარიმდება 500 (ხუთასი) ლარით.

9.8. თამაშამდე, თამაშის დროს ან თამაშის დამთავრების შემდეგ მომხდარი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში გადაცდომის ჩამდენი გუნდის, მწვრთნელის, მოთამაშის ან სხვა ოფიციალური პირის მიმართ საკითხს განიხილავს ს.კ.ე.ფ-ის სადისციპლინო-ტექნიკური კომისია, საჯარიმო სანქციების გადახდა უნდა მოხდეს სანქციის გამოტანის მატჩიდან მომდევნო მატჩამდე პერიოდში. გადაუხდელობის შემთხვევაში  მომდევნო მატჩებზე არ დაიშვება.

9.9. განსაკუთრებულ შემთხვევაში ს.კ.ე.ფ-ის სადისციპლინო-ტექნიკურ კომისიას უფლება აქვს გაზარდოს სასჯელები დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით.

# თავი VII - პროტესტი

**მუხლი 10. პროტესტის შეტანის წესი**

10.1. პროტესტი შედის წერილობითი ფორმით და ,,კალათბურთის ოფიციალურ წესებში" ჩამოყალიბებული პროცედურების დაცვით.

10.2. გუნდის პროტესტს განიხილავს ს.კ.ე.ფ-ის სადისციპლინო-ტექნიკური კომისია.

# თავი VIII - ფინანსები

**მუხლი 11. ფინანსები**

11.1 საქართველოს კალათბურთის ფედერაცია გაიღებს შემდეგ ხარჯებს:

- სპორტული ბაზების იჯარა (ს.კ.ე.ფ- ის თამაშის მასპინძლობის შემთხვევაში);
- მსაჯების, კომისრის და მსაჯმდივანთა ბრიგადის მგზავრობისა და თამაშის მომსახურების ხარჯები;
- მსაჯების, კომისრის, საჭიროების შემთხვევაში მსაჯ-მდივნების 3 (სამი) დღე-ღამით სასტუმროში მიღების და სამჯერადი კვების ხარჯები.
- ჩემპიონატის/ტურნირის გახსნის, კენჭისყრის, დახურვის და დაჯილდოვების ცერემონიალისთვის საჭირო ვიზუალური შეფუთვის, ჩატარების ადგილის, ატრიბუტიკის, პოლიგრაფიის, დიზაინერისა და სხვა საჭირო ხარჯები;
- გათამაშების მონაწილეთა მწვრთნელებისა და მოთამაშეების, მატჩების დროს გამართული სხვადასხვა საშეჯიბრო კონკურსის მონაწილეების დაჯილდოვებისა და მაყურებელთათვის სხვადასხვა სამახსოვრო სუვენირების (თასი, სიგელი, მედალი, მაისურები) დამზადების ხარჯები;

11.2 გუნდის ხარჯები ტურნირის ჩატარებისას:
- ჩემპიონატის/ტურნირის თამაშებზე სხვა ქალაქში მივლინების ხარჯებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.
- სპორტული ბაზის იჯარას (გუნდის/კლუბის თამაშის მასპინძლობის შემთხვევაში);
- მასპინძელი გუნდი ვალდებულია აანაზღაუროს მსაჯების, კომისრის, საჭიროების შემთხვევაში მსაჯ-მდივნების 2 (ორი) დღე-ღამით სასტუმროში მიღებისა და სამჯერადი კვების ხარჯები.
-გახსნა - კენჭისყრის ცერემონიალზე, სათამაშო ფორმების გადაცემის ღონისძიებაზე, ჯგუფური ეტაპისა ან/და პლეიოფის თამაშებზე, სხვა ქალაქში მივლინების ხარჯებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

## თავი IX - დაჯილდოვება

**მუხლი 12. გუნდების მოთამაშეების, მწვრთნელებისა და თანმხლები პირების დაჯილდოება**
12.1. გუნდს, რომელიც „ჯუნიორ ენ-ბი-ეი საქართველოს" - A, B და C ლიგებში დაიკავებს პირველ ადგილს, მიენიჭებათ 2022-2023 წ.წ სეზონის შესაბამისი ლიგის ჩემპიონის წოდება და დაჯილდოვდებიან საჩემპიონო ბეჭდებით.
12.2. გუნდები, რომლებიც „ჯუნიორ ენ-ბი-ეი საქართველოს" - A, B და C ლიგებში დაიკავებენ მეორე და მესამე ადგილს, დაჯილდოვდებიან ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით.

---

## დანართი 1

- *ტუხნიხში მონაწილეობას იღებენ 2011-2012-2013 წლებში დაბადებული მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდები.*
- *შეხეული გუნდის შემთხვევაში, ვაჟებთან ერთად, თითოული გუნდს 15 (თხუთმეტი) კაციან განაცხადში შეუძლია ჰყავდეს 2010 წელს დაბადებული გოგონები;*
- *ამასთანავე, შესაძლებელია, ხომ ლიგაში მონაწილეობა მიიღოს სხულად გოგონებით დაკომპლექტებულმა გუნდმა.*
- *გუნდს შეუძლია ჰყავდეს მაქსიმუმ 2 (ორი), 2014 წელს დაბადებული ვაჟი მოთამაშე.*

- *თამაშები ჩატარდება 5x5 ზე.*
- *ოთხი (4) ხვა (8) წუთიანი მეოთხედი.*
- *თამაშები ჩატარდება 5 ზომის კალათბუთის ბუთით.*
- *წამზომი (ლრო) ჩერდება მხოლოდ:*
  *ა) საჯარიმო სროლების ლროს;*
  *ბ) მეოთხე (მე-4) მეოთხედის ბოლო ორ (2) წუთზე;*
  *გ) თამაშის წუთშესვენებებზე (ტაიმ აუტი).*
- *ათი (10) წუთი მოთელვაზე თამაშის დაწყებამდე.*
- *ხუთ (5) წუთიანი დიდი შესვენება.*
- *ერთ (1) წუთიანი შესვენება პირველი (1) და მესამე (მე-3) მეოთხედების ბოლოს.*
- *ერთ-ერთი (1) ოცდაათ (30) წამიანი ტაიმ აუტი თამაშის პირველ და მეორე ტაიმში (I-II მეოთხედში და III- IV მეოთხედში)*
- *თამაშის ფერედ (დამატებითი ლრო) დასრულების შემთხვევაში, ოვერტაიმი იწყება ბუთის საპაო გლებით და თამაში სრულდება პირველი ბუთის ჩაგლებისთანავე.*
- *თითოეულ მოთამაშეს აქვს ექვსი (6) პერსონალური შენიშვნის უფლება თამაშის მსვლელობისას.*
- *მეექვსე (მე-6) გუნდური ჯარიმის შემდეგ (მეოთხედში), მეშვიდე გუნდური ჯარიმიდან ინიშნება საჯარიმო სროლები.*
- *თამაში უნდა მიმდინარეობდეს „მოთამაშე მოთამაშის წინააღმდეგ" დაცვის პრინციპით. ზონის გარეშე.*
- *მთელ მოედანზე პრესინგის დაცვის გამოყენება არ შეიძლება მე-4 მეოთხედამდე.*
- *თამაშის 3 (სამი) პერიოდის მანძილზე ყველა მოთამაშეს თამაშში მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული (მოთამაშეების მონაწილეობის გაკონტროლება მოხდება მსაჯ-მდივნის მიერ).*
- *თამაშის მსვლელობისას 24 წამის ათვლის წესი არ მოქმედებს.*
- *მოთამაშის მხრიდან „ლრის გაყვანის „ შემთხვევაში, მსაჯი წინასწარი გაფრთხილებით დაუთვლის 10 წამს ხელის შეტყობინებით.*
- *მოთამაშეებს უნდა ეცვათ Jr. NBA ლიგის ბრენდირებული მაისურები.*
- *დივიზიონებში/ჯგუფურ ეტაპზე, თუ გუნდებს თანაბარი ქულები დაუგროვდათ, ჯგუფში ადგილები მიენიჭებათ კალათბურთის ოფიციალური წესების მიხედვით.*
- *პლეიოფში გასასვლელად მოქმედებს შემდეგი წესები:*
  *ა) ჯგუფში/დივიზიონში მოგებების რაოდენობა. ბ) გუნდის, დივიზიონში/ჯგუფში მიღებული და ჩაგლებული ბურთების სხვაობა.*
- *თამაშის მსვლელობისას მოქმედებს მოედნის ზონის (მეტოქის ნახევრიდან საკუთარ ნახევარზე დაბრუნების აკრძალვა) წესი.*